ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საფინანსო–საბიუჯეტო სამსახური

დ. ხარაგაული, 9 აპრილის 15 ტ.: 2 15 40;

N 10 ,, 11“ აპრილი 2014 წელი

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის თვითმმართველი ერთეულის 2014 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2013 წლის 27 დეკემბრის # 3 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

მ ო ხ ს ე ნ ე ბ ი თ ი ბ ა რ ა თ ი

1. **საქართველოს მთავრობის 2014 წლის 10 აპრილის # 641 განკარგულების** საფუძველზე ცვლილება შევიდა საქართველოს მთავრობის 2014 წლის 13 იანვრის # 34 განკარგულებაში – ,,საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულებისათვის თანხის გამოყოფის შესახებ“ და ხარაგაულის მუნიციპალიტეტს გამოეყო სულ 2 228 946 (ორი მილიონ ორას ოცდარვა ათას ცხრაას ორმოცდაექვსი) ლარი, აქედან 1 955 347 (ერთი მილიონ ცხრაას ორმოცდათხუთმეტი ათას სამას ორმოცდაშვიდი) ლარი უკვე განაწილებული ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში და დამატებით გამოყოფილი 273 599 (ორას სამოცდაცამეტი ათას ხუთას ოთხმოცდაცხრამეტი) ლარიდან 199 409 (ასოთხმოცდაცხრამეტი ათას ოთხასცხრა) ლარი მიმართული იქნას სოფელ ბორითის საბავშვო ბაღის შენობის სარეაბილიტაციოდ და 74 190 (სამოცდათოთხმეტი ათას ას ოთხმოცდაათი) ლარი ხარაგაული–საქარიქედის 4 კილომეტრიანი გზის მონაკვეთის, ისლარი–ფარცხნალის 1 კილომეტრიანი გზისა და ბორითი–მაქათუბნის გზაზე გარე განათების მოსაწყობად. (დან. #1)

გარდა აღნიშნულისა **საქართველოს მთავრობის 2014 წლის 20 მარტის # 471 განკარგულებით** – სოფლის მხარდამჭერი პროგრამის ფარგლებში ხარაგაულის მუნიციპალიტეტისათვის გამოყოფილ 770 163 (შვიდასსამოცდაათი ათას ას სამოცდასამი) ლარის გადანაწილებაში მოხდა უმნიშვნელო ცვლილება, კერძოდ დამსხვილდა რამდენიმე პროექტი (დან. # 2)

აღნიშნულიდან გამომდინარე გაიზარდოს:

- ხარაგაულის მუნიციპალიტეტის 2014 წლის ბიუჯეტის შემოსულობები 8672.7 ათასი ლარი 273. 6 ათასი ლარით (სპეციალური ტრანსფერის ხარჯზე) და განისაზღვროს 8946.3 ათასი ლარით;
- გაიზარდოს ხარაგაულის მუნიციპალიტეტის 2014 წლის ბიჯეტის ხარჯები 10707.8 ათასი ლარი 273.6 ათასი ლარით და განისაზღვროს 10981.4 ათასი ლარით.

საფინანსო–საბიუჯეტო სამსახურის უფროსი

ვლადიმერ გელაშვილი